№ 56 მარტი 16, ოთხშაბათი 1888 მარტი 16, ოთხშაბათი № 56

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, აბალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდიკელის საგაზეთოს გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888

## განცხადება

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავადი წულუკიძე, ამით აუწყებს ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა, რომ პირველს აპრილს ქუთაისის დეპუტატთა საბრანიაში დანიშნულია კრება. ვსთხოვ თავად-აზნაურობას, მობრძანდნენ დანიშნულ დროსთვის და წარმოადგინონ საბუთები საარჩევანო უფლებისა. თანხმად რბ მუხლისა, შენიშვნა რდ, რი ტომი IX, გამოცემა 1876 წ. და უმაღლესად გადმოცემული 8 ნოემბერს 1887 წელსა აზრი სახელმწიფო საბჭოსი შეცვლისათვის ქონებრივის ცენზისა.

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი
(3—1) თავადი წულუკიძე

ტფილისი, 15 მარტი

მართლად არის ნათქვამი, დრონი მეფობენო. ამ ათის თუ ცამეტის წლის წინად რომ დასწრებოდით ჩვენს თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებასა, სხვას ვერას-ფერს შეჰნიშნავდით, რომ შეურიგან თავად-აზნაურნი მარშლებისა და სხვათა კანონით აღნიშნულ მოხელეთა ამოსარჩევად. ამის გარდა თითქმის არავითარი სარჩიე საგანი, არავითარი განსახილველი და მოსაფიქრებელი საჭიროება არ გამოდიოდა თავად-აზნაურთა კრების მოედანზედ. თუ ამ მოხელეთა არჩევანის გარდა ამოტყვრებოდა, ისიც მარტო ის იყო, რომ მთავრობასა ვთხოვოთ დანაშაულობა აპატიოს ამა-და-ამ კაცსაო, ან თავადობა თუ აზნაურობა დაუკარგავს სხვა-და-სხვა მიზეზით ამასა და ამასა და ვიშუამდგომელოთ მთავრობამ დაუბრუნოსო. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გულ-მტკივნეულობის მოძრაობის საქმეა და გულ-მტკივნეულობით მოქმედება არავის ეკიჟინება. მაგრამ ყველანი დაგვეთანხმებიან, რომ ამისთანა საქმეებს არავითარი ზოგადი მნიშვნელობა არა აქვს საყოველთაოდ მთელ თავად-აზნაურობისათვის, თუმცა-კი თხოვნაც არის და თხოვნაც და საგანი თხოვნისა მანიშნებელია ადამიანის წარმატებულობისა და ამ წარმატების მეტ-ნაკლებობისა.

ევროპაში ანდაზად არის, რომ მითხარ ვის იცნობ, გეტყვი რა კაცი ხარო. სიმართლე ამ ანდაზისა უფრო ცხადი იქნება, რომ ვსთქვათ: მითხარ რას ითხოვ და გეტყვი რა კაცი ხარო. თუ გნებავთ ამ მხრით, წინანდელ ჩვენს სათხოვარებს ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა, მხოლოდ როგორც საწყაოს ჩვენის წარმატებულობის მეტ-ნაკლებობისას და თვითონ თხოვნა-კი შესრულდებოდა, თუ არ შესრულდებოდა, ამით არც რამ დააკლდებოდა თავად-აზნაურობას, არც მოემატებოდა: საგანი თხოვნისა ამისთანა იყო.

რადგანაც ჩვენი საგუბერნიო კრებანი წინად ამ ვიწრო წრეში ჰტრიალებდნენ, ამიტომაც თვითონ კრებას არც გონების გამრჯელობა ეტყობოდა, არც მხნეობა მოქმედებისა. დუნედ და უგემურად გაიმართებოდა კრება და ისევ დუნედ და უგემურად დაიშლებოდა ხოლმე. ეს იყო მიზეზი, რომ კრებაზედ დასწრება, მონაწილეობის მიღება ბევრს არავის ეხარბებოდა, ბევრს არავის ეხალისებოდა. თვით მარშლებისა და მოხელეთა ამორჩევას თუ ყურს ათხოვებდა ვინმე, მარტო იმისათვის, რომ მახლობელს თუ მეგობარს გზა მისცენ პატივისა და ხარისხის მოპოებისა. ამომრჩეველებს სხვა არავითარი აზრი არ მიუძღოდა წინ, როცა ხელში კენჭით მიდიოდნენ არჩევანის ყუთისაკენ.

ეხლა დრო გამოიცვალა. ამ ბოლოს ხანებში ჩვენმა თავად-აზნაურობამ თავის ყოფა-ცხოვრებაზედ ცოტად თუ ბევრად თვალი აახილა. იგი ჰხედავს, რომ ზოგიერთი უსწორ-მასწორობა, ზოგიერთი ნაკლი შეიძლება შესწორდეს, შეივსოს ზოგი მთავრობის შემწეობითა, ზოგი კანონით ნებადართულ თვით-მოქმედობისაგან. ამ ორ-ტოტმა მდინარეობამ მიმართულებისამ თვისი კვალი უკვე დააჩნია ჩვენს თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებას. რაც ხანი გადის, ჩვენა ვხედავთ, რომ საგუბერნიო კრებაზედ თავად-აზნაურობას სხვა-და-სხვა სარჩიელი, სხვა-და-სხვა საჭიროება შეაქვს გასარჩევად და გამოსარკვევად. ზოგი იმისთანაა, რომ მარტო მთავრობის შემწეობით შესაძლოა ეშველოს რამე და ზოგი იმისთანა, რომ თვითონ თავად-აზნაურობა ჰქლამის თავის თავის ჰშველასა, რასაკვირველია, იმოდენად რამოდენადაც თვითონ კანონი ამის ნებას იძლევა.

ამ მხრით მეტად შესანიშნავნი არიან განაჩენები საგუბერნიო კრებისა 1882 წლისა, თუმცა-კი დღეს აქამომდე არავინ იცის, რა მოჰყვა ამ განაჩენებს. ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყოველს იმ საგანს, რომელიც ამ წლის განაჩენებშია მოხსენებული. საკმაოა დავასახელოთ თუნდა მარტო სასკოლოდ ფულის გაწერის საქმე, რომ დავინახოთ დღეს ცხოვრება რა მძიმე და რთულს საქმეს გვაძლევს ჩვენ ხელში ასე თუ ისე გასაძღოლად. ამ საქმით თავად-აზნაურობამ იცნა ერთი თავისი უდიდესი საჭიროება და თავის სასახელოდ არა სხვერპლს არ მოერიდა, რომ ამ საჭიროებას უშველოს რამე საკუთარის ღონითა და შეძლებითა.

რაკი ამისთანა საქმეებზედ ჩვენს თავად-აზნაურობას — ღვთის მადლით — თვალი აეხილა, რაკი თავად-აზნაურობას გულში დაეძრა ყოვლად მხსნელი აზრი თავის თავის შველისა, მოხელეთა არჩევანსაც სულ სხვა რიგის თვალით უნდა დაუწყოს ყურება დღეის იქით: ასარჩევნი კაცნი უნდა შეურჩიოს იმ საჭიროების გაძღოლის სიმძიმეს და სიძნელეს, რომელსაც დღევანდელი დღე თავად-აზნაურობას ამცნებს და ავალებს. ამომრჩეველმა მარტო ამ საჭიროების გაძღოლის საწყაო უნდა დაიჭიროს ხელში და იმ საწყაოთი შეუდგეს კაცის ამორჩევას. უამისოდ სარჩიელი ბევრი იქმნება და საქმის გამკეთებელი-კი არც ერთი და საქებურნი განაჩენები თავად-აზნაურობის კრებისანი უქმად ჩაივლიან. ამისი მაგალითი არა ერთი და ორია.

დღეს არჩევანები მოახლოვებულნი არიან. ჩვენ თავად-აზნაურობას ჰმართებს წინადვე დაუფიქრდეს ამ არჩევანების საქმეს. წავიდა ის უზრუნველი დრო, როცა ვიძახოდით: ეს კაცი ამოვირჩიოთ, დეე ეხლა ამან მიიღოს ხარისხი და პატივიო. ამ აზრით ამორჩევა ახლა ცოდვაა და დიდი ცოდვაც. ეხლა თავად-აზნაურობას გაგებულნი, მიხვედრილნი, საქმის კაცები სჭირია, თუ უნდა, რომ თავისი ყოფა-ცხოვრება წარმართოს რიგიანად და დროს შესაფერად. ამას კაცები უნდა შეურჩიოს, კაცები, რომელთაც ცოდნა, ბეჯითობა, მხნეობა და განათლება აქვთ, რომ მრავალ გვარი საჭიროება თავად-აზნაურობისა იცნონ თვითონაც, თვითონაც გაიგონ და ამ ცნობით და გაგებით მათდამი მინდობილს საქმეს ბოლომდე ჯეროვანად მიჰყვნენ და ღირსეულად ემსახურონ.

## ახალი ამბავი

*** ქართულის დრამატიულის დასის არტისტს, ბ-ნს ვასილ აბაშიძეს, ვრცელი წიგნი შეუდგენია და ჩქარა დაიწყებს თურმე ბეჭდვას. წიგნი 200 გვერდამდე იქნება და სახელად ერქმევა „ჩანგი“. ამ წიგნში მოქცეულია თურმე ყველა ლექსები და სცენები, რაც-კი ოდესმე წაკითხულა სცენაზედ. ეს წიგნი ძალიან გამოსაყენებელი იქნებაო დივერტისმენტებისათვის.

*** მთავრობას განუზრახავს გამართოს ტფილისში საგლეხო სადგილ-მამულო ბანკი მთელის ამიერ-კავკასიისათვის.

*** კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. დონდუკოვ-კარსაკოვს ბრძანე-

## ფელეტონი

### უცნაური მუხუდო

მოთხრობა

VI*)

ბოლოს დარბაზის კარები გაიღო და მოღიმარე, გაბადრულის სახით შემოვიდა სოფო.

— სოფოს ვახლავარ, — მიესალმა დარო: — შენი და რაღა იქმნა?

— ცოტა იმან ზლაზვნით იცის სვლება, — უპასუხა მხიარულის ხმით სოფომ, რომელმაც შორი-ახლო დროს თვალი მოჰკრა და კიბეზედ ...რბენაში დაღლილი ძლივს-ღა იბრუნებდა სულს: — მე აღარ მოუთმინე და წინ წამოვედი; ისიც მალე მოვა.

— გემჩნევა, კიბეზედ დაღლილხარ; ...ვ საძაგელი კიბე მეტად მაღალია, ისე არ ამოვალ, რომ არ დავიღალო.

— მართალსა ბრძანებთ, მიუგო სოფომ და თან მარჯვენა ხელით საფეთქელთან ჩამოწეწილს თმებს დაუწყო სწორება.

— თუ თქვენი სურვილიც იქმნება, — მიუბრუნდა ისევ სოფოს დარო, გთხოვთ იცნობდეთ ამ ყმაწვილს, გიმნაზიის მოწაფეს ალექსანდრე ასლანიძეს.

— სოფიო სარქისოვისა, წარმოსთქვა სანდროსაკენ სახე-მიქცევით სოფომ, მდაბლად თავი მოუხარა და გაუწოდა ცოტა აწითლებულმა ბამბასავით თეთრად მოკრიალებული პაწია ხელი.

ეს წამი მძიმე წამი იყო სანდროსათვის. იგი გაწითლდა, მთლად აინთო სირცხვილით; ხელი-კი გაუწოდა სოფოს, მაგრამ თითქო ქვეშიდგან იატაკი გამოეცალაო, ისეთ ყოფაში იგრძნო თავის თავი. რასაკვირველია, სანდროს გაწითლება დაროს ყურადღებას არ გამოეპარა.

— თქვენი ჭირიმეთ, რა რიგ ენთება ეს ბიჭი! წარმოსთქვა გაოცებით და ხარხარით დარომ, მიახედა სოფო სანდროსაკენ და უკანასკნელი უფრო მეტად გააწითლა. ასეთი საძაგელი ჭირი სჭირს, ქალო. — ხმა დაშვებით განუმარტა სოფოს: — ქალი რომ შეხედავს, ამას უეჭველად ეს დღე ემართება: ერთი გაწითლდება, ერთი გაიპარება, თითქო სოფლელი პატარძალიაო; ამას ეხლანდელის ვაჟებისა არა ატყვია-რა. ვინ იცის, რას არა სჩადიან ეხლანდელი ყმაწვილი კაცები, რა თამამად ჰკავალრობენ გასათხოვარ ქალებს და ეს, ქალის დანახვაზე, იბუზება, კურდღელივით ინაბება.

— უმორჩილესად გმადლობთ, ძალო, ასეთის რეკომენდაციისათვის! ღიმილით წარმოსთქვა ძლივ-ძლივობით სანდრომ, რომელიც მოწიწებით ყურს უგდებდა და რომელსაც დაროს ყოველი სიტყვა ენიშნებოდა.

— როგორ, განა ვსტყუი? ჰკითხა დარომ.

— არცა სტყუით, მაგრამ არც მართალს ბრძანებთ, უპასუხა მორცხვობით, თავის რწმენის წინაალმდეგ, სანდრომ.

— მაშ ეს ქალი (მიუთითა სოფოზედ) მოწამე იყოს და მე შენ დაგიმტკიცებ, რომ ტყუილი არ მითქვამს.

— იყოს, თანახმა ვარ, მიუგო სანდრომ და ორივემ ამით დაამთავრეს გაწითლების შესახებ აღძრული ბაასი.

დარომ სოფო და სანდრო აივანზედ გაიწვია, სადაც ჩაისათვის ტაბლა იყო მომზადებული. რადგან დარო აივნიდგან ოთახში სტუმრებისათვის სამზადისს დაუბრუნდა, ამიტომ სანდრო და სოფო მცირეს ხანს მარტოკანი დარჩნენ. ამ მარტოკობამ სანდრო უფრო შეაწუხა; მაგრამ, როგორც ემჩნეოდა პირველ შემთხვევაში, არც სოფო იყო უკეთესს მდგომარეობაში: ორივეს სცხვენოდათ ერთმანერთისა, სკამები მოშორებით დაიდგეს და ძირს, ქუჩისკენ დაიწყეს ცქერა. ასე იყვნენ, სანამ დარო დაბრუნდებოდა და თან სახლის პატრონის ცოლს გამოიყვანდა. ამათ მოსვლის უმალვე ყველა სიჩუმე შარშანდელ თოვლივით გაჰქრა: დარო იყო აზირებულის მხიარულის ხასიათისა, საშინელი მოლაპარაკე და სტუმრის გამართობელი, სახლის პატრონის ცოლი უარესი. ორივემ ერთმანერთის სიახლოვეს დაიდგეს სკამები ტაბლის გვერდით და, ჩვეულებისამებრ, ხშირის კასკასით და ხარხარით მიეცნენ ამ მთისა და იმ მთისაზედ ლაპარაკს. რა ცოტა ხნის შემდეგ დარომ შენიშნა ახალგაზდა ქალ-ვაჟის განმარტოებით და ერთმანერთის მოშორებით სხდომა, მარდად წამოხტა და, ვითომ წყრომით, მაგრამ ღიმილით, მივარდა სანდროს სკამს, წაავლო ხელი და ასეთის სიტყვებით წამოაყენა ზედ-მჯდომი:

— თქვენი ჭირიმეთ, მე ამისთანა კაცის მნახველი არა ვარ! იმის მაგივრად, რომ ტოლი ქალი გაართოს, უკავალროს, ეს ბუტიასავით ცალკე გასულა და აქეთ აღარ იხედება. რა არის, ღმერთმანი, ისე ქალს ვერ დაინახავს, რომ პირი არ მოარიდოს; სწორედ სახეზედ ვერავის ვერ შეხედავს.

— სულ ჩემს ქება-დიდებაში როგორა ხართ, ძალო? თქვენ მეტად აჭარბებთ. მგონია, ისეთი ქალაჩუნაც არ ვიყო, როგორსაც თქვენა მსახავთ. — ღიმილითვე და ცოტა მორცხვობით მიუგო სანდრომ, თან სკა-

*) „ივერია“ №№ 51, 52 და 55.

ბა გაუცია, რომ იმათ, ვინც ოსმალეთიდგან და სპარსეთიდგან მოვლენ თავიანთის პასპორტებით, თუ ვინიცობაა ეს პასპორტები არ წარმოუდგენიათ რუსეთის კონსულებისათვის, ნება აქვთ იცხოვრონ საზღვართან მახლობელ ადგილებში, ისიც ექვსის თთვის ვადით. იმ პასპორტების მაგიერ ერთ ადგილიდგან მეორე ადგილზე გადასვლისათვის არ მიეცემათ არავითარი ქაღალდი რუსეთის მთავრობისაგან. ვადა რომ გაუთავდებათ, ისევ უკანვე უნდა დაბრუნდნენ.

⁂ ბათუმი: იანვარში სოფელს არდანუჯში გარდაიცვალა ერთი სომეხი, მოხუცი არაქელიანცი, 125 წლისა. იმისი პირველი შვილი 70 წლისაა და სხვა იმისი მომდევნონი სულ შვილს თაობამდეა. განსვენებულს მოხუცს სიკვდილამდე თვალთა და ყურთ არ დაჰკლებია და დაიარებოდა კიდეც ჯოხით ხელში.

25 თებერვალს თვით ბათუმში გარდაიცვალა ერთი მოხუცი, 91 წლისა. დარჩა შვილები, შვილის-შვილები და იმათი შვილებიც 50 სულამდე. განსვენებული სიკვდილამდე დადიოდა ბაზარში სხვა-და-სხვა სავაჭროსათვის, კითხულობდა, ყურთ არ აკლდა და ისე ჩქარა დაიარებოდა, თითქო ყმაწვილი კაციაო. ეს მოხუცებული სრულიად უეცრად და მოულოდნელად გარდაიცვალა.

⁂ 5 მარტს სურამს ახლო, სოფელს ალში, ქურდებს გაუტეხიათ დუქანი ჯანუაშვილისა. რაც-კი რამ მოხვედრიათ ავაზაკებს ხელში, ყოველივე გაუტანიათ. კვალი ქურდებისა ჯერ-ჯერობით არა სჩანს.

⁂ აბაშიდამ გვწერენ: ამინდები აქეთ კარგია. ტალახი აღარ გვაწუხებს, მაგრამ გზა მაინც ჯერ გაუკეთებელია. აქამდე ამბობდნენ, რომ ტალახის გამო გზა არ გაკეთდებაო, მაგრამ ახლაც გზის გაკეთებას არა ჰფიქრობენ, თუმცა დარები კარგი დაიჭირა.

⁂ სოფელი ბარი (რაჭაში): აქ გარდაიცვალა 12 იანვარს ხარკოვის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, ვასილ ალექსის ძე ჭიჭინაძე. განსვენებული სულ ახალგაზდა იყო, ესე 24 წლისა, და რუსეთშივე გახდა ავად შარშან ზაფხულს. იმისი ავადმყოფობა იყო ჭლექი, რომელიც შრომამა და ჯაფამ უნივერსიტეტში და მკაცრმა ჰავამ უფრო გაუძლიერა, ისე რომ შემდეგ სამშობლოში დაბრუნებამაც ეღარა უშველა-რა საბრალოს.

თუმცა იმისი სიკვდილი აუცილებელი იყო ბოლოს დროს, მაგრამ განსვენებულს არა სჯეროდა, რომ მალე მოკვდებოდა. ახალგაზდას სწყუროდა სიცოცხლე და არ უნდოდა ისე გამქრალიყო, რომ თავის ქვეყნისათვის არა გაეკეთებინა-რა.

განსვენებული ვასილი მხიარულის ხასიათის ყმაწვილი იყო, უიმედოდ და უნუგეშოდ არ შეჰყურებდა თავის სამშობლოს და სჯეროდა იმისი ბედნიერება მომავალში. ეს იმედი აცოცხლებდა მწარე სენით გატანჯულს. სამშობლოს სამსახური დიდი და მძიმე მოვალეობაა კაცისაო, ამბობდა ხშირად განსვენებული. ამ სამსახურისათვის ემზადებოდა ნეტარხსენებული, მაგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა აღარ აცალა. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

⁂ დღეს, 16 მარტს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე, დანიშნულია კრება კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა. წაიკითხავენ თავ-თავიანთ მოხსენებას პინტკოვსკი, სტეკლოვი და შიშკინი. უფრო საყურადღებოა მოხსენება შიშკინისა: „დაკბენა ცოფიანის მგლისაგან.—პასტერისებური აცრა.—სიკვდილი“.

⁂ ხუთშაბათს, 17 მარტს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე, სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება ტეხნიკურის საზოგადოებისა. ამ კრებაზე წაიკითხავენ სხვათა შორის ქალაქის თავის წერილს ტფილისის აბანოების მოწყობის თაობაზე და კოლდევეინის პროგრამას ამავე საგნის შესახებ.

⁂ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ქალაქსა აქვს გამართული ტფილისში დედათა სახელოსნო სკოლა, მაგრამ რადგან ამ სკოლაში აღარ იღებენ 14 წლისაზე მეტს, ამიტომ ქალაქს გადაუწყვეტია საღამოობით 5—7 საათამდე ასწავლოს უფრო მოზრდილს ქალებსაცა და ქმარ-შვილიანებსაც ხელ-საქმე და ხელობა. ფასი უნდა შეიტანოს მსურველმა თთვეში 2 მანათი სწავლისათვის და მასალაც ხელ-საქმისათვის თავისი უნდა მიიტანოს.

⁂ გაზ. «С.-Пет. Вѣд.»-ი ამბობს, რომ გზათა სამინისტრომ გადასდო ამ წელს სურამის გვირაბის გასაკეთებლად სამ მილიონ მანათამდე ფული.

⁂ ამბობენ, რომ ვითომ 1 მარტის მოგებიდამ 10,000 მანათიანი მოგება ერგო ტფილელ ვაჭარს, ებრაელს შაფრანოვსკის («Тиф. Лист.»).

<>

## ქალაქის საბჭო

14 მარტი

7 მარტს ქალაქის საბჭომ განიხილა ცალკე-აზრი ხმოსან მ. ი. თამამშოვისა, რომ საყასბო გაიმართოს მირზოევის ადგილზე, ძველ დამოჭნასთანაო. მაშინ გამოითქვა აზრი, რომ მთავრობა უარს აღარ გვეტყვის და საყასბოს გაგვამართვინებს ქალაქთან ახლო, რადგან დაშორება დიდად უხერხოაო. ზოგი ამ იმედს აშენებდა იმ გარემოებაზედ, რომ ბ-ნ მთავარ-მმართებლის კანცელარიაში ახალი მოხელენი ჩადგნენ და იქნება ამათ მაინც ნება დაგვრთონო—მირზოევის ადგილზე ავაშენოთო.

14 მარტს საბჭო კვლავ მიუბრუნდა ამ საგანს.

კალოუბნელი. ყველაზე უკეთესი იქნება—ამოვირჩიოთ კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი საყასბოსი.

როტინოვი. რად გვინდა კომისია! ყველამ ვიცით, რომ მირზოევის ადგილი ახლოც არის, მარჯვეც, კარგიც და მიწის პირიც საკმაოდ მაგარი აქვს. ერთის სიტყვით, მირზოევის ადგილი სწორედ ასლია და ბატკნებსაც აღარ დაჰხოცავენ შიგ ქალაქში.

მ. ი. თამამშოვი. მაინცა-და-მაინც მირზოევის ადგილი არა მაქვს მე ამოჩემებული. საქმე ის არის, რომ საყასბოს დაშორება არ ვარგა ქალაქისათვის—ხორცსაც ემატება ფასი გზის გამო და არც სახერხოა. საყასბო უეჭველად ახლო უნდა გვქონდეს. რაკი ამ აზრს მივიღებთ, მერე რომელი ადგილიც გვჯობინება, ის ამოვირჩიოთ. 852-ტე მუხლი კანონებისა გვიკრძალავს საყასბოს გამართვას ქალაქში, მაგრამ თუ-კი სანიტარულსა და ჰიგიენურს წესებს მტკიცედ დავიცავთ და საბუთიანს პროექტს წარუდგენთ მთავრობას, წინ აღარავინ გადაგვეღობება.

ნიკოლაძე. მარტო 852-ტე მუხლი არ გვეწინააღმდეგება, არამედ მთავრობაცა და საქიმო გამგეობაც. აგერ ათი წელიწადია ვეხვეწ-ვემუდარებით ქალაქში გაგვაკეთებინონ საყასბო, მაგრამ ვერას გავხდით. ეგეც რომ არ იყოს, მირზოევის ადგილი მაინც არ გამოგვადგება, რადგან საყასბოსთან ერთად უნდა საქონლის დასაყენებელი მოედანიც გავმართოთ. აქედამაც შემოსავალი ექნება ქალაქსა, და აბა სად არის იმოდენა ადგილი მირზოევის მამულში. გარდა მაგისა, ეხლა უკვე ბევრნი ჰხედავენ, რომ ტფილისის მერმისი დამყარებულია ბალნეოლოგიურ სტანციაზე, საუკეთესო აბანოების გამართვაზე. ქალაქმა უნდა შეისყიდოს აბანოები, რომელთანაც ზედ-მოკვრებულია მირზოევის მამული. საყასბოსა და ბალნეოლოგიურ სტანციას ერთად ხომ ვერ გავმართავთ! ან რას ეგვანება! ამიტომ სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ მირზოევის ადგილსა, გადავიწყვიტოთ იმედი, რომ ქალაქთან ახლო გვქონდეს საყასბო და შევუდგეთ აშენებას, საცა არავინ დაგვიშლის.

ხოსროევი. ჩემის აზრით, სრულებით უადგილოა დღეს ლაპარაკი იმაზედ, რომ მირზოევის მამულში გავმართოთ საყასბო. კანონის 852-ტე მუხლის ძალით ნებას არ გვაძლევენ ქალაქში ვიქონიოთ საყასბო. ბევრი ვითხოვეთ, მაგრამ მთავრობამ ეგ კანონი არ დაარღვია ჩვენის გულისათვის. თუ აღარ დაგვიშლიათ, მაშ ჯერ კიდევ ვთხოვოთ მთავრობასა და როცა ნება მოგვცეა, ადგილიც მაშინ ამოვირჩიოთ და ბასიც მაშინ გავმართოთ. თუმცა-კი მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თხოვნა კვლავ შეუწყნარებელი დარჩება.

მიქელაძე. გარდა მაგისა, ჩვენ არ გამოგვადგება დავადგინოთ, რომ უთუოდ მირზოევის მამული უნდა ვიყიდოთო—პატრონი ფასს ასწევს. ამიტომ ამოვირჩიოთ კომისია და მივანდოთ ადგილის მოძებნა. წარსულ სხდომაზედ ბ-ნმა ქოჩორიანცმა სთქვა, რომ ფულების უქონლობა ჯერ-ჯერობით ნებას არ მოგვცემს საყასბოს აშენებისასაო. ამიტომ სჯობია, ერთი ოთხას-ხუთასი თუმანი დავხარჯოთ და დროებითი საყასბო გავაკეთოთო. ჩემის აზრით, ეს წინადადება საბუთიანი და ჭკუაში დასაჯდომია. ახალი საყასბოს მოუნდება 120,000 მანეთამდე. ეს ფული უნდა ვისესხოთ და წელიწადში მარტო სარგებელი შეიდას თუმნამდე ვაძლიოთ. ისევ სჯობია ხელ-მოჭერით მოვიქცეთ და წელიწადში ოთხასი თუმანი ვხარჯოთ დროებითს საყასბოზე, ვიდრე მაგოდენა ვალი ავიკიდოთ.

როტინოვი. ბ-ნი ნიკოლაძე ამბობდა, რომ ქალაქს გარეთ უნდა გავმართოთ საყასბოვო, რადგან საქიმო გამგეობა ნებას არ გვაძლევს ახლო გვქონდესო. საქიმო გამგეობა იმიტომ გვეწინააღმდეგება, რომ იმის წევრნი ბატკნის ხორცს არა სჭამენ, ალბათ არ უყვართ. ტფილელი ხალხი-კი ძალიან ეტანება ბატკანსა. გაზაფხულსა და ზაფხულობით დღეში 700—1,000 ბატკანი იკვლება. ბატკანსა ჰხოცავენ შიგ ქალაქში და საშინელ ბინძურ სუნს აყენებენ. შორს რომ გვქონდეს საყასბო, ის მაინც ბატკანს ვერას უშველის, რადგან იმ სიშორეზე ბატკანიცა და თევზიც ვერ აიტანს სითბო-სიცივესა, გაფუჭდება. ბატკნებისათვის მაინც უნდა გავმართოთ ცალკე განყოფილება შიგ ქალაქში.

ნიკოლაძე. გინდა შიგ შუა ქალაქში ნახეთ ადგილი და იქა ჰხოც[illegible] არა მარტო ბატკნები, თვით კამბეჩ[illegible]ბიც, ოღონდ კაი საყასბო-კი გვქონდეს. თუ მე მკითხავთ, უკეთესი საყასბო ადგილი მადათოვის კუნძ[illegible]ლია. მაგრამ საუბედუროდ ჩემს აზრ[illegible] არავითარი მნიშვნელობა არა აქვს კანონ-მდებლობისათვის. მეტი გზა არა გვაქვს და ამიტომ საყასბო უნდა გავმართოთ იქ, სადაც არავინ დაგვიშლის და შემოსავალიც გვექნება.

როტინოვი. ბატკნის ხოცვამ სწორედ ააყროლა ქალაქი. აბა ეს რასა

---

მი ჩამოართო დაროს და სოფოს მახლობლად დაიდგა.

— ღმერთს გეფიცები, უფრო მეტი, ვიდრე მე ვამბობ. როგორც გინდა მიიღე, და მე სწორეს ვიტყვი: ყმაწვილ-კაცს ეგ არ შეჰშვენის. ვაჟკაცს ამშვენებს გამბედაობა, გულადობა, სითამამე, მხიარულობა; უამათოდ კაცი გროშად არა ღირს.—თავ-მოწონებით და რიხით წაუკითხა დარომ.

რადგან სანდრო ნათლად ჰგრძნობდა, რომ დაროს სიმართლე მიუძღოდა, ამიტომ საპასუხოდ მან ვერაფერი მოახერხა. პასუხის მაგივრად ორჯელ-სამჯერ შუბლზედ ხელი გადისვა და სოფოს გართობის ზრუნვის გზას შეუდგა. სანამ ეს მოახერხებდა რასმე, დარომ თავისი არ დაიშალა. მოუბრუნდა სოფოს და ახლა იმას გამოეხმაურა:

— შენ მაინც შეაქციე, სოფო, ეგ ყმაწვილი, თორემ ორივეს დაგეძინებათ ჩუმად ჯდომაში; იმედი მაქვს, ამისთანებში შენ სჯობიხარ მაგას. მანდ თქვენ ისიამოვნეთ და აქ, ჩვენის საქმისა, მე ვიცი.

— ბატონი ბძანდებით, მიუგო ნაზის ხმით სოფომ: ჩვენთვის ნუ შესწუხდებით.

ხმის ამოღების უმალვე სანდრომ თვალები მიაჩერა სოფოს. შეიძლება უტყუვრად ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სანდრომ გაბედვით, საფუძვლიანად შეხედა სოფოს და იგი დაბოლოვებით, ზედმიწევნით გასინჯა. ამ წუთას სანდრო პირველად დარწმუნდა, რომ სინამდვილესთან იმისი პირვანდელი ოცნება არად ჩაითვლებოდა, რომ ნამდვილი საგანი თავის გარეგანის ვითარებით, თვისებებით გაცილებით აღემატებოდა მასზედ წარმოდგინებას.

ახოვანი ტანადობა სოფოსი დამბადებელს უხვად შეემკო იშვიათის შვენებით. ხშირს შავს თმასთან მორგვალებული, პოხიერი, თეთრად გადაშლილი სახე ღლისით ისეთის შუქითა ბრწყინავდა, როგორც ბნელს ღამეს საუკეთესო ლამპარი; გრძელ წამწამიანი, ქუქუნა, შავი, მკვირცხლად მოძრავი თვალები და მათზედ საუცხოვოდ გადაჭიმული შავი წარბები, კოხტად მოყვანილი ცხვირი, ნაზი ტუჩები და სრული, სავსე მკერდი, სასწავლებლის ფორმის მუქს მიხაკის ფერს კაბაში მჭიდროდ გამოწყობილი, მეტის ჰარმონიით ეთანხმებოდნენ ყველა დანარჩენ იმის ღირსებათა. ამასთან შერჩეული და შეხამებული მიხვრა-მოხვრა, წყლიანი სიტყვა-პასუხი ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებდა კაცის გულში, ისე უხვად აჯილდოვებდა კაცის თვალსა და ყურს ნეტარების სიტკბოებითა, რომ საკმარისი იყო ერთი ნახვა, რათა სოფოს კაცისათვის ჯადოსნურის ქარით შემოებერნა და უკანასკნელის გული საუკუნოდ დაემონავებინა, დაეტყვევებინა.

ჩარა არ იყო, სანდროს თავისი გაუბედაობა ნება-უნებლიედ უკან უნდა გადაედო და გაბედვისათვის ყოველი ძალ-ღონე მოეკრიბნა, რადგან სოფო იქვე პირდაპირ ეჯდა და იმას გართობა და შექცევა ესაჭიროვებოდა.

მცირეოდენის სიჩუმის შემდეგ ისევ სოფომ ამოიღო ხმა:

— მე თქვენ ხშირად შემხვედრიხართ,—მიჰმართა რუსულად სანდროს.

— იქნება, მხოლოდ მე, თითქო, პირველადა გხედავთ.

— შეიძლება ყურადღებას არ მაქცევდით, თორემ მე ხშირად მინახვიხართ.

— რომ მენახეთ, ნუ თუ ასე გადამავიწყდებოდა, რომ სრულიად ვერ მოვიგონებდი.

— ადვილად შესაძლებელია მოუგონებლობა, თუ კაცს გულში რაიმე განზრახვა არა აქვს ანუ რაიმე მიზეზი საგნის სინჯვის დროს; თუ საგანი გვაინტერესებს, უეჭველად დაგვახსომდება.

სანდრო ლაპარაკში თან-და-თან თამამდებოდა და თან გულში უხაროდა, რომ საუბარი თავის თავად გრძელდებოდა.

— მართალია,—მიუგო სანდრომ: —მაგრამ ჩემის ნახვის დროს რა განზრახვა ანუ ინტერესი გექმნებოდათ თქვენ?

— თითქო არ იცოდეთ!—მიუგო გაბედვით სოფომ.

— მე საიდამ უნდა ვიცოდე?—იცრუა სანდრომ და ცოტა შესწუხდა კიდეც, რომ საუბარმა მიიღო ისეთი მიმართულება, რომელიც სიყვარულის განდობას მოასწავებდა: მას უნდოდა, საქმეს უიმისოდ ჩაევლო, მაგრამ სიყვარული-კი უეჭველად ყოფილიყო.

— მაშ გსურთ, უსათუოდ დამასახელებინოთ?

— რატომაც არ ვისურვებ.

— რომ ჩემი სიტყვა არ ირწმუნოთ?

— ეგ სიტყვის ვითარებაზედ ჰკიდია.

— მაშ გამოგიტყდებით,—დაუშვა ხმა ძირს სოფომ, თუმცა არც იმის დას, არც დაროს რუსული არ ესმოდათ: —მე თქვენ პირველს ნახვაზედვე ძლიერ მომეწონეთ და გულში ჩამივარდით.

ისე არხეინად წარმოსთქვა სოფომ ეს სიტყვები, თითქო აქ არაფერიც ისეთი არა არის-რა, რომელიც გრძნობის სამფლობელოს ეკუთვნოდესო.

სანდრო-კი ერთბაშად გაშრა ამ პასუხით, თუმცა მოულოდნელი არ იყო იმისთვის; ამ პასუხმა იგი სრულიად განჰგმირა, თუმცა ერთობ ამა; ტანჯვის ცეცხლი წაუკიდა, თუმცა ნეტარების ნამით დანამა; ვაების ჯურღმულში ჩააგდო, თუმცა სიხარულის ხესა აღიყვანა.

ალ. მირიანაშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ეს! განა შესაძლებელია, რომ ...ტკანი...

...ნიკოლაძე. ევროპაში ბევრგან სა-...ბო შეგვხდებათ 7—8 ვერსტზე ...შორებით. იქ დიდრონ საქონელ-...ც ჰხოცავენ და მაგ თქვენ ბატ-...ნებსაც. რკინის გზები მიუდით ანუ ...ვა ეტლები და ისე შეაქვთ ქალაქ-...ი. აქაც შეგვიძლიან ისევე.

მ. ი. თამამშოვი. 852-ტე მუხლი ...ეთი რამ არ არის, რომ ვერსაი-...ამ მოევლებოდეს. ეგ მუხლი წინა-...აც იყო, მაგრამ საყასბო-კი შიგ ...ა ქალაქში გვქონდა, მერე მაშინ, ...დესაც ჯერ მილის წყალი აზრა-...ც არ მოგვსვლოდა. დღეს მილის ...ლიც გაყვანილი გვაქვს და, მაშა-...დამე, უფრო შეგვაძლებინებენ ქა-...ლაქში გავმართოთ საყასბო. არცა-...ას ბალნეოლოგიურ სტანციას და-...მლის და არცარას ააყროლებს, ...უ კარგა გავმართავთ.

ბებუთოვი. ვთქვათ, ბ-ნი ხოსროე-...ვი უწინ მოსამართლე იყო და ამი-...ტომ ასეთს მომხრეობას უწევს 852-...ტე მუხლს კანონებისას. სხვები მაინც ...რატომ არ მოიგონებთ პარუნბეგო-...ვის სადილს, რომელზედაც მიწვეუ-...ლი იყო განსვენებული გუბერნატო-...რი ორლოვსკი თავის მოხელეთა-...ურთ. ამ სადილის შედეგი ის იყო, ...რომ პარუნბეგოვის ქარვასლაში გად-...ატანინეს საყასბო, წინაალმდეგ იმავ 852-ტე მუხლისა. ამ მხრით შეუძ-...ლებელი არა არის-რა. თუ ვეცდე-...ბით, მირზოევის ადგილზე გაგვაკეთე-...ბინებენ საყასბოს. ბ-ნი ნიკოლაძე ...წუნებს ამ ადგილს, რადგან პატა-...რაა და საქონლის მოედანი ვერ ეტე-... მაშ რად მოსწონს მადათოვის ...ი, რომელიც აგრეთვე პატა-...ანა მოედნისათვის. ბ-ნ მი-...ოსაზრება-კი სამართლიანია, ...შევსდგეთ მირზოევის მა-... რადგან მართლა მიწის ფა-...აწევენ.

...სროვი. 852-ტე მუხლის მომხრე-...ობით-კი-არ მომდის, რომ ვამბობ— ...შეუძლებელია ნება მოგვცენ და საყას-...ბო ქალაქში გაგვაკეთებინონ-მეთქი, ...რამედ მრავალის წლის გამოცდილე-...ბით. ეს რვა წელიწადია, რაც წევრი ...ვარ ქალაქის გამგეობისა და თვით ბ-ნი ...ბებუთოვიც ამდენივე ხანი ხმოსანია ...აბჭოსი. 1879 წლიდამა ვსთხოვთ ...თავრობასა და ვერას გავხდით. თუ ...ხლა კიდევ თავიდამ დავიწყეთ საქმე, ...საყასბოს გაკეთებას უფრო დავუგვია-...ნებთ ქალაქსა.

ქოჩორიანცი. მამული არა გვაქვს ...ნთი, ფულზედ ხომ უკაცრავად ...ახლავართ და ჩვენი საყასბო კიდე ...სეთი საზიზღარია, რომ თვალს ვერ ...უსწორებს კაცი. მაშ რა ვქნათ? ...ერში ხომ ვერ გავმართავთ! ამიტომ ...ჯობია ისევ ოთხასი თუმანი ავილოთ ...და გავაკეთოთ დროებითი საყასბო.

იზმაილოვი. დროებითის საყასბოს ...გაკეთება იმიტომ უნდა ბ-ნ ქოჩო-...რიანცს, რომ სანიტარული და ჰიგიე-...ნური მოწყობილობა რიგიანი ჰქონ-...დეს, ე. ი. აღარ იყოს ისეთი სა-...ზიზღარი, როგორც შარშან ბ-ნმა ...ვერმიშოვმა აგვიწერა. ოთხასის თუმ-...ნით რომ გავაკეთოთ, მეორე დღეს-...ვე ბინძური იქნება, ე. ი. ისეთივე, ...როგორიც დღეს არის. თუ სანიტა-...რულსა და ჰიგიენურ წესებზე შევაკე-...თ, უნდა დავაგოთ ისეთი იატაკი, ...რომ სისხლმა მაშინვე იდინოს ძირ-...საც უნდა გავაწყოთ მილები, რომ ...ყოველივე ჭუჭყი მტკვარში წაიღოს. ...გარდა ამისა, რადგან გზა ცუდი გვაქვს, უნდა გზა-ტკეცილი გავაკეთოთ, რომ გაადვილდეს და გაიაფდეს ხორცის ამოტანა ქალაქში. ყველა ამას მოუნდება თითქმის იმდენივე, რაც საჭიროა გამგეობის მიერ განზრახულ სამუდამო საყასბოზე. მაშ რაღად გვინდა დროებითი საყასბო, თუ-კი სამუდამოსაც ეგ ფულივე მოუნდება!.. ამბობენ, გვირჩევნია ჩვენის სიღარიბით წელიწადში ოთხას-ხუთასი თუმანი ვხარჯოთ და შევაკეთოთ საყასბო, ვიდრე 120,000 მანათი ვივალოთ და შვიდას თუმნამდე სარგებელი ვაძლიოთო, რადგან ეს უფრო ძნელია ჩვენთვისაო. თუ სიღარიბეს ვიქონიებთ სახეში, ჩვენთვის უფრო ძნელია ოთხას-ხუთასის თუმნის ხარჯვა და წყალში ყრა, ვიდრე 120,000 მანათ ვალის აღება და სარგებლის ძლევა, ამიტომ-რომ თვით რიგიანი საყასბო უფრო მომეტებულ შემოსავალსაც მოგვცემს და არც ფული დაგვეკარგება ტყუილ-უბრალო შეკეთებასა და უაზრო წმენდაზე.

ქოჩორიანცი. რიგიანი საყასბო მესმის, მაგრამ ის-კი ვერ გამიგია, როდესაც ბ-ნი იზმაილოვი ამბობს, რომ 120,000 მანათ ვალის აღება უფრო ადვილია, ვიდრე ოთხას-ხუთასის თუმნის ხარჯვა წელიწადშიაო. ან-კი სადა გვაქვს ზნეობრივი ნება ვალის აღებისა, როდესაც დღევანდელი ვალებიც ვერ მოგვიშორებია და არც-კი ვიცით, რა იქნა და სად დაიხარჯა იმოდენა ფული.

ბებუთოვი. რატომ არა გვაქვს ზნეობრივი ნება? ან რომელი ფული დავხარჯეთ, რომ არ ვიცოდეთ ანგარიში!

ქალაქის თავი. დიდადა სცდებით, ბ-ნო ქოჩორიანცო, როდესაც იძახით, რომ დღევანდელი ვალებიც ვერ მოგვიშორებიაო. ეგ დიდი ტყუილია, რადგან ტფილისსთანა ნაღდი მოვალე თითქმის არა ქალაქი არ არის.

(აქ მთელი საბჭო პირში სწვდება ბ-ნს ქოჩორიანცს და ამტყუნებს, რომ იმისი აზრი შეუსაბამო და უსამართლოა).

ქოჩორიანცი. რა ვქნა, მე-კი ასე ვიცი ჩვენი ყოფა-და.

ქალაქის თავი. ეგ იმიტომ, რომ თქვენ სრულებით არ იცით საქმე და უადგილოდ იმეორებთ მაგისთანა ჭორებსა.

ქოჩორიანცი. ჰო, შეიძლება ამ სიტყვებით ცოტა გადავაჭარბე, მეტი მომივიდა, მაგრამ მაინც დროებითი საყასბო უეჭველად უნდა გავაკეთოთ.

როტინოვი. დროებითი საყასბო არ ვარგა, მაგრამ თუ ღმერთი გწამთ, არ დაივიწყოთ, რომ ბატკნები...

(ბატკნების ასე დაჟინება ეხლა-კი ველარ ჩაატარეს ხმოსნებმა და ყველას ხანგრძლივი სიცილი წასკდათ. ბევრი იცინა თვით დამსწრე ხალხმაც. მაგრამ ამ ხმა-მაღალ სიცილში მაინც ისმოდა ბ-ნ მატინოვის «ბატკნები», «ბატკნებს», «ბატკნებზე» და სხვანი).

თანხმად ბ-ნ იზმაილოვის წინადადებისა, საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა ამორჩიოს კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს ეს საქმე, აარჩიოს შესაფერი ადგილი და იმოქმედოს ისე, როგორც გამგეობა მოსთხოვს.

# უცხოეთი

საფრანგეთი. ყოველივე საქმე მიწყნარდა, მიჩუმდა ევროპაში და მით უფრო დიდის ამბით გაისმის ამ მყუდროებაში სახელი გენერალ ბულანჟესი. ბულანჟე ამ ჟამად უკვე დათხოვილნის სამსახურიდამ, მაგრამ გენერალი არ დარდობს ამისა. არ დარდობს იმიტომ-რომ იმისმა დათხოვნამ უფრო აალაპარაკა საფრანგეთი, უფრო ააყაყანა ქვეყანა.

გაიგო თუ არა პარიჟმა, რომ გენერალი დათხოვნილ იქმნაო, შეიკრიბა მრავლად ხალხი გაზეთ «ლაკოკარდის». რედაქციის წინაშე, სადაც დიდი ტილო იყო გამოფენილი. ამ ტილოზე სხვაების ასოებით ეწერა: გაუმარჯოს ბულანჟეს! არ გვინდა სადი-კარნოვი! ხალხმა გასტეხა რამდენიმე ფანჯარა სამხედრო სამინისტროსი, ერთი ჯგუფი ხალხისა ელისეს სასახლის წინ დადიოდა და თან დაჰქონდა დიდი ფარი კარდონის ქაღალდისა. ამ ფარზე ეწერა: «ბულანჟე იქმნება რესპუბლიკის პრეზიდენტად! არ გვინდა კარნოვი!»

აი რას ამბობენ სხვა-და-სხვა გაზეთები საფრანგეთისა ბულანჟეს გამო:

გაზეთი «Temps»-ი ამბობს, რომ სამხედრო მინისტრი ლოყეო კარგად მოიქცა, იტყვიან რა დათხოვნა გენერალ ბულანჟესი რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობითა. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ლოყეო მტერი იყოს ბულანჟესი, იმასაც ვერავინ ვერ იტყვის, რომ ვითომ პრეზიდენტი აჩქარებით მოიქცა, როცა სამხედრო მინისტრის მოხსენებაზე მოაწერა: მომწონს მოხსენება და ნება დამირთავს, რომ გენერალი ბულანჟე დათხოვნილ იქმნას სამსახურიდამაო. ვერ იტყვის ამას ის, ვინც იცის, რა ფრთხილი კაცია სადი-კარნო. პრეზიდენტმა უთუოდ ასე იფიქრა: დათხოვნა ბულანჟესი საჭიროა არა რომელისამე დასის ანგარიშების მიზეზითა, არამედ რესპუბლიკის უმაღლესი ინტერესი მოითხოვს, რომ ეს გენერალი ჯარში აღარ ირიცხებოდესო. ჩვენის აზრით, მოხდა მხოლოდ ის, რაც საჭირო და კანონიერი საქმე იყო. ტოკვა და ყოყმანი აღარ შეიძლებოდა, დანაშაული ცხადი იყო. ეგრეთი დამნაშავე რომ სხვა ყოფილიყო, უფრო მალე მოსტეხდნენ კისერს. ბულანჟემ თავისი საქმე თავადვე გაათავა. თითქო შემთქმელთა მთავრობის წინააღმდეგაო, ისე იქცეოდა და აბა ასეთი საქციელი როგორ ეკადრებოდა კორპუსის კომანდირსა. ვინ აპატიებდა ლურჯის სათვალეების გაკეთებას, თავის მოკოჭლებას, პარიჟში ნება-დაურთველად სამჯერ და ოთხჯერ ჩამოსვლას. დაპატიმრება ბულანჟესი არ ივარგებდა: უფრო გააზვიადებდა იმის სახელს. სამსახურიდამ დათხოვნა კარგია იმით, რომ იგი ისევ სამხედრო მინისტრის ხელ-ქვეშეთი იქნება. წინააღმდეგს არავინ იტყვის იმასას, რაც მთავრობამ საკადრისი მიაგო ბულანჟეს. იმის საქციელის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, დანაშაულობაზედ და დიდ ცოდვად ჩაეთვლებოდა მთავრობას. უნდა ისიცა გსთქვათ, რომ გვწუხვართ, რად გათავდა ასე ცუდად სამსახური იმ გენერალისა, რომელიც ოდესმე დიდს იმედს აძლევდა ქვეყანას, და ეს იმედი შესრულდებოდა კიდეც, რომ ბულანჟეს აქეთ-იქით არ გადაეხვია და სამხედრო სამსახურისათვის არ ეღალატნა. იმან ტყუილად დაუჯერა იმ აყალმაყალს, რომელიც იმის გარშემო ასტეხეს იმისმა მომხრეებმა და თავ-ბრუ დაასხეს ახალგაზდასა და მხნე კაცსა. ისიც ადგა და წარმოიდგინა, რომ ნაპოლეონი ვარო, ზედნიერს ვარსკვლავზე ვარ დაბადებულიო.

გაზეთი «Paris»-იც ისე ლაპარაკობს თითქმის, როგორც ზემოხსენებული «Temps»-ი: გენერალმა ბულანჟემ გაგვიცრუა გონება, გაგვიდვაა იმედები, მაღალი სული ჩაუდგა ჯარსა და მხედრობას, მაგრამ რაკი ისე მოიქცა, როგორც მოხსენებულია სამხედრო მინისტრის ქაღალდში, მთავრობაც ისე უნდა მოქცეულიყო უთუოდ, როგორც მოიქცა. ჯარი, ეჭვი არ არის, ამაზე სამდურავს არ იტყვის. იმედი გვაქვს პარიჟის ხალხის კეთილ-გონიერებისა და მამულიშვილობისა და ამიტომ გვჯერა, რომ არც ის დაარღვევს წესსა და კანონსა. «ჩვენც მაგასვე ვფიქრობთო, ამბობს «Republique Française»-ი, და დარწმუნებულიცა ვართ, რომ არ გამტყუნდება ჩვენი ფიქრიო».

გაზ. «National»-ი ამბობს: მთავრობა ველარ ენდობოდა ბულანჟეს, ვეღარ დაიჯერებდა იმის ფიცს ვერც საზოგადოება. რაკი მინისტრობას თავი დაანება, გენერალი შემთქმელი შეიქმნა. ყველაფერში რევოლუციის მომხრე იყო და დიქტატორის სახეც ედო. გენერალმა თავისი თავი თავადვე დაჰღუპა. მორჩილი ჯარის-კაცი რომ ყოფილიყო, შეეძლო დიდი სამსახური გაეწია სამშობლოსათვის, მაგრამ რაკი პოლიტიკას გამოუდგა, ის ვერ შეიქმნებოდა ვერც მონად, ვერც კრომველად და ვერც ბონაპარტად.

გაზ. „Liberté"-ც აქებს მთავრობას ამ საქციელისათვის და ბოლოს ამბობს; საჭიროა კიდევ სხვა ღონის-ძიებანიც ვიხმაროთ ბულანჟეს წინააღმდეგაო. ბულანჟეს საქმე ჯერ მალე არ ჩაქრება, არამედ უფრო გამწვავდებაო. ამ სახელისათვის ცხარე ბრძოლა დაიწყებაო.

გაზ. „Nation"-ი ამბობს, რომ სხვა მიზეზებიცა ჰქონდა მთავრობას ბულანჟეს დასათხოვნად და მთავრობა მოვალეა ის მიზეზებიც შეატყობინოს ერსაო.

„Journal des Debats"-ი ამბობს, რომ მთავრობა მტკიცედ უნდა მოიქცეს, თუ უნდა რომ ბულანჟეს საქმეს არა მოჰყვეს-რა საშიშაოო.

ასე ლაპარაკობენ ზომიერის მიმართულების გაზეთები. ბულანჟეს მომხრენი-კი, რასაკვირველია, სულ დორბლებსა ჰყრიან.

გაზ. « Intransigeant »-ი ამბობს, რომ სამინისტრო სულ-მდაბლობითა და უნამუსობით მოიქცა. ასევე ლაპარაკობს გაზეთი «Lanterne».

«Cocarde» სწერს: მთელი საფრანგეთი წინააღმდეგობას გამოუცხადებს მთავრობასა. მამულის-მოყვარე და დიდსულოვანი ხალხი პარიჟისა,—ის ხალხი, რომელიც ხშირად გაუქქლნია პარლამენტის ზღარბზნებს, რომელმაც იცის და ხშირად გამოუცდია მტარვალობა პარლამენტისა, ნუ თუ ვერა ჰხედავს, რომ ბულანჟეს დათხოვნა სამსახურიდამ მამულის ღალატია? პარლამენტის მოჯამაგირენი, მატყუარანი და მტერნი მუშა ხალხისა ღალატით ჰყიდიან საფრანგეთსა. ყოველთვის, როცა ჩვენი სამშობლო გაჭირებაში ყოფილა, იგი დაუხსნია ერსა, ხალხსა და ეხლაც იგივე ერი და ხალხი დაიხსნის. გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს ბულანჟეს!

უადგილობის გამო აღარ მოგვყავს აზრი გაზეთის «France»-სა, «Autorite»-სა, „Radical"-ისა, «Justice»-სა და სხვათა.

# წვრილი ამბები

გერმანიის გაზეთები თითქმის ყოველ დღე სავსეა ანეგდოტებით იმპერატორის ვილჰელმის ცხოვრებიდგან. ყველანი-კი უფრო იმაზე ლაპარაკობენ, რომ ვილჰელმი ძალიან ხელ-მოჭერილი და დამზოგველი კაცი იყოვო. მაგალითებრ, იმპერატორი უბრძანებდა ხოლმე თურმე მსახურებს, რომ ნაკრული ბოთლი შამპანურის ღვინისა სახვალიოდ შეინახეთო. საყურადღებოა ისიც, რომ გარდაცვალებულის უკანასკნელ სურვილის აღსასრულებლად — სამხედრო ქუდში დამმარხეთო, ახალი ქუდი უყიდნიათ, რადგან იმპერატორს არც ერთი რიგიანი ქუდი არა ჰქონია. თუმცა თავის თავისათვის არაფერს იმეტებდა იმპერატორი, თავის ნათესავებისათვის-კი გულ-უხვი იყო და ქისა ყოველთვის ღია ჰქონდა. იმპერატორს ჭირივით ეჯავრებოდა თურმე ფულზედ ქაღალდის თამაშობა, ხოლო ერთხელ-კი მფარველობა აღმოუჩინა ქაღალდის თამაშობას. ბერლინში კლუბი იყო გამართული, რომელშიაც ძალიან გავრცელებული ჰქონდათ ქაღალდის ფულზედ თამაშობა. იმ რაზმის ოფიცრები, რომლის პოლკოვნიკადაც პრინცი ვილჰელმი იყო, ხშირად დადიოდნენ თურმე ამ კლუბში. პრინცმა აუკრძალა თავის ხელ-ქვეითებს კლუბში სიარული. კლუბის მმართველობამ მიჰმართა იმპერატორს ვილჰელმსა და მფარველობა სთხოვა. ვილჰელმმა უთხრა პრინცსა, რომ ნება ისევე დართე ოფიცრებს კლუბში სიარულისაო. ხოლო პრინცმა უპასუხა, რომ თუ გნებავთ ნება დავრთო, სამსახურიდგან დამითხოვეთო. რომ ჰნახა შვილის სიმაგრე, იმპერატორმა სთქვა თურმე: «კარგი, ამ საგანზედ ნულარაფერს ვიტყვით. შენისთანა კარგ პოლკოვნიკს მე ვერსად ვიშოვნიო».

— იმპერატორს ვილჰელმს მხედრობაში 720 დღე გაუტარებია: 334 დღე 1813—15 წ., 126 დღე ბადენის ომში, 35 დღე 1866 წ. და 225 დღე საფრანგეთ-პრუსიის ბრძოლის დროს.

— ქ-ნს გუკერს ამერიკაში მიუღია ფულად საჩუქარი, როგორც მოხუც მხედარს შინაურის აშლილობისა და ბრძოლის დროისას. ეს ქალი მილიციის პორუჩიკადა ყოფილა, უბრალო ჯარისკაცის ტანისამოსი სცმია და ორი ჭრილობა მიუღია.

— დასასრული პრუსია-ბელგიის რესპუბლიკისა. 1815 წელს, როცა საზღვრები დაადგინეს, 1340 დღიური მიწა დარჩათ ბელგიასა და პრუსიას გაუნაწილებელი. ამ მთავრობათ განიზრახეს, რომ ეს ადგილი ნეიტრალად დარჩეს და თვით-მმართველობა მიენიჭოსო. ამ გვარად დაარსდა თურმე რესპუბლიკა მორენეტისა, რომლის მეთაურადაც ქალაქის მოურავი იყო. პრუსიისა და ბელგიის კომისრები თვალ-ყურს ადევნებდნენ ქალაქის მოურავის მოქმედებას. მუშა მკვიდრის გარდა ამ მორენეტის რესპუბლიკაში სცხოვრებდნენ აგრეთვე მოქალაქენიც, რომელნიც გარდასახადს იხდიდნენ. ამ მოქალაქეთა გარდასახადი არ ასდიოდა ქალაქის განსაგებელს ხარჯსა, ხოლო ბელგიის თუთიის შემმუშავებელ საზოგადოებას თუთიის მადნები ჰქონდა აღებული და ის აძლევდა დანარჩენს ფულსა. ეხლა ამ საზოგადოებას გამოუცხადებია პრუსიისა და ბელგიის კომისრებისათვის, რომ დღეიდგან საზოგადოება ვეღარაფერს გარდაიხდის, რადგან მადნები სულ ერთიანად გამოიფიტაო. მაშ, როგორც სჩანს, მორენეტის რესპუბლიკა უნდა დაიღუპოს.

— ამერიკის გაზეთებში სწერენ, რომ იქ ამას წინად რამდენიმე უმაწვილი კაცი და ქალი დაქორწილებულან ტელეფონის შემწეობით. საფრანგეთის სასულიერო სემინარიის დირექტორს რომში, ემბასს, ამას წინად ურჩევია, რომ კარგი იქმნება, ტელეფონითვე მივიღოთ ხოლმე ცოდვებით მონანიება და ცოდვანი მივუტევოთო.

# დეპეშა

14 მარტი

პეტერბურგი. იმის გამო, რომ ზოგიერთი პურის ვაჭრები, რომლებსაც დიდი ვაჭრობა აქვთ, სცდილობენ არ გადაიხადონ 1-ის გილდიის გადასახადი, ფინანსთა მინისტრმა ცირკულიარი გასცა სახელმწიფო პალატებისადმი სავაჭრო ბაჟის გადახდის შესახებ და უბრძანა მტკიცედ იხელმძღვანელონ 1886 წლის 6 მაისის ცირკულიარით. ამასთანავე მინისტრს განუმარტავს, რომ თუმცა მე-7 მუხლი ამ ცირკულიარისა ზოგჯერ ნებას იძლევა დიდის ვაჭრობისას პურითა მეორე გილდიის მოწმობით, მაგრამ სავალდებულოა, იხელმძღვანელონ სავაჭრო წესდების 1-ის და 32-ს მუხლების ნამდვილის აზრითა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ცხადია, რომ ესა-და-ეს ვაჭრობა ნარდად ვაჭრობაა. ფინანსთა მინისტრი სახელმწიფო პალატებს ხელ-ახლად აგონებს მეორე ცირკულიარში, რომ სამეურნეო ავეჯი, როცა უფასოდ და უსასყიდლოდ გადადის სხვაზე, ბაჟს არ ექვემდებარებაო.

პარიჟი. მარსელში არჩევანის დროს ბულანჟემ მიიღო მხოლოდ 983 ხმა. არჩეულია სოციალისტი ფელიქს პია, რომელმაც მიიღო 40,000 ხმა. სამაგიეროდ ლიონში ბულანჟეს ერგო 45,000 ხმა. ამისდა მიუხედავად ხელ-მეორედ უნდა მოახდინონ არჩევანი, რადგანაც სხვა კანდიდატებსაც მრავალი კენჭი რგებიათ.

ბერლინი. იმ შემთხვევის გამო, რომ მემკვიდრე ცესარევიჩი იმყოფება აქ, ებოძათ ორდენები ბევრს დიდებულთა; ამათ შორის ჰერბერტ ბისმარკს ებოძა ალექსანდრე ნეველის ორდენი.

ელბანგი. დანციგის ოლქაში ძლიერი წყალ-დიდობაა.

პარიჟი. სააპელაციო სამართალმა გაამართლა ვილსონი და იმისი თანამოზიარენი მხოლოდ იმისთვის, რომ კანონებში ისეთი მუხლი არ მოიპოვება, რომელიც უნდა სჯიდეს ორდენებით ვაჭრობისათვისაო.

ვენა. აქ ამბობენ, ვითომ ბოლგარიის მინისტრები სთხოვენ პრინცესა კლემენტინას ფულსა; თუ პრინცესამ ფული ვერ იშოვნა, მაშინ პრინცი ფერდინანდი ბოლგარიაში ვერ დამყარდება და ვერ დარჩებაო.

15 მარტი

პეტერბურგი. გუშინ მოვიდა პეტერბურგს გერმანიის გენერალი ვერდერი, რომელმაც უნდა ოფიციალურად აუწყოს რუსეთის მთავრობას, რომ გერმანიის ტახტზედ ავიდა იმპერატორი ფრიდრიხიო.

ბრიუსელი. აქ მოელიან პრინცესა კლემენტინას, რომელსაც უნდა ჰნახოს ჰერცოგი ომალისა და მოიმხროს იმისათვის, რომ უფრო ადვილად ვისესხო ფული საფრანგეთშიო. ჰგონებენ, რომ კლემენტინა ფულის სესხებას ვერ მოახერხებსო, რადგანაც ორლეანის პრინცებს არ მოსწონთ ფულის ფლანგვა კლემენტინას მიერ და განზრახვაც-კი აქვთ მზრუნველები აირჩიონ და დაავალონ თვალყურის გდება კლემენტინას ქონებისა.

პარიჟი. სამხედრო კომისიამ ჩვენება ჩამოართვა გუშინ ბულანჟეს. სულ 10 წუთს გასტანა ამ ამბავმა. ამბობენ, რომ კომისიის აზრი გენერლის სასარგებლო არ არისო. კომისიის გარდაწყვეტილებას გამოაცხადებენ მას შემდეგ, როცა შეატყობინებენ ჯერ პრეზიდენტს კარნოსაო.

სტამბოლი. ამტკიცებენ, რომ ვითომ ბოლგარიის მმართველნი არავითარს პასუხს არ გაუგზავნიან დიდ ვეზირს, რომელმაც აცნობა, რომ მთავრობა პრინცის კობურგისა უკანონო საქმეაო.

ბუქარესტი. იმის გამო, რომ მთავრობის მოწინააღმდეგეთ მანიფესტაცია მოახდინეს, მათსა და ჟანდარმებ შორის ჩხუბი მოხდა და რამდენიმე კაცი დაიჭრა. სამეფო სასახლეს ჯარი არტყია გარშემო; ქალაქი აღელვებულია.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მარტი 31 დღით არის.

16 დღე ოთხშაბათი. წმ. საბინისა და სერაპიონისა; ლაზარეს აღდგენა. კათოლ. იულიანისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 6—22. მთვარე 17 დღისაა.

17 დღე ხუთშაბათი. ღირსისა ალექსი ღვთისნიერისა და მაკარისა. კათოლ. ბოლესლავისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12-5. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23. მთვარე 18 დღისაა.

18 დღე პარასკევი. წმ. კირილესი. კათოლ. გაბრიელისა. მუსულ, მე-18 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—24. მთვარე 19 დღისაა.

19 დღე შაბათი. წმ. ხარისანფისა და დარიასი. კათოლ. იოსებისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45. ჩადის 6—25. მთვარე 20 დღისაა.

20 დღე კვირა. წმ. იოანესი და კლავდიასი. კათოლ. ალექსანდრესი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—43, ჩადის 6—2[illegible]. მთვარე 21 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მარტიდამ 1 აპრილამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 კ. |
| პური 1-ის ხარისხისა | | 3 |
| » | 2 » | 2½ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 |
| » » | 2 » | 3½ |
| » » | 3 » | 3 |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | | 5 |
| მე-2 ხარისხისა | | 4 |
| მე-3 — | | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | | 11 |
| სუკი | | 16 |
| მროხის ხორცი | | 9 |
| » | 2 » | 8 |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა | | » |
| » | 2 » | » |

# ბალანსი

## ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვარს 1888 წლისა

აქტივი

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| კასსა: ნაღდი ფული | 15,952 | 66 | | |
| გირაოს ფურცლები | 68,800 | — | 84,752 | 66 |
| ფული მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | 17,434 | 44 | | |
| ბ) თბილისის სავაჭრო ბანკში | 1,238 | 18 | | |
| გ) ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში | 56,533 | 08 | | |
| დ) კორრესპონდენტებთან | 116,256 | 03 | 191,461 | 73 |
| საწევრო ფული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში | — | — | 30 | — |
| სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში: | | | | |
| ა) უზრუნველ საყოფლად გირავოს ფურცლების გამოშვებისა (წესდებისა § 50) . . . (220,000) | 202,417 | 39 | | |
| ბ) ტირაჟში გამოსულთა გირავოს ფურცელთა და კუპონთა (50,000) | 46,763 | 80 | | |
| გ) სათადარიგო თანხის სასაკუთრონი . . . (54,600) | 51,559 | 26 | 300,740 | 45 |
| სხვა სარგებლიანი ქაღალდები ბანკის კასსაში. . . (27,700) | — | — | 26,782 | 43 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცელი . . . (12,100) | — | — | 10,575 | — |
| სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდების სარგებელი 1 იანვრამდე 1888 წლისა | — | — | 2,359 | 27 |
| სესხნი: ა) სოფლის ადგილ-მამულებზე, 43½ წლით | 1,089,700 | — | | |
| ბ) ქალაქის მამულებზე, 18 7/12 წლით | 2,182,800 | — | 3,266,500 | — |
| მოკლე ვადიანნი | — | — | 102,480 | — |
| სესხნი გასაცემად დანიშნულნი { 43½ წ. | 7,500 | — | | |
| { 18½ „ | 91,300 | — | 98,800 | — |
| მოვალენი: ა) შემოსატანი ფული, რომელსაც შეღავათი აქვს: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ. | 156,760 | 95 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთა. | 4,266 | 20 | 161,027 | 15 |
| ბ) ვადას გადაცილებული გადასახადი: | | | | |
| 1) ხანგრძლივთა სესხთამებრ. | 29,663 | 39 | | |
| 2) მოკლე ვადიანთა სესხთამებრ. | 939 | 05 | | |
| ჯარიმა მოვალეებზე. | 2,048 | 82 | 32,651 | 26 |
| გირაოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი | — | — | 61,300 | — |
| ვადამდე დახურდავებული კუპონები. | — | — | 4,740 | — |
| სხვა-და-სხვა დებიტორები | — | — | 71,498 | 92 |
| დასაბრუნებელი ხარჯები | — | — | 112,344 | 54 |
| ხარჯები: ა) მოწყობა-მორთულობაზე. | — | — | 1,650 | 50 |
| ბ) გამართვაზე, გადამავალი 1888 წელში | 225 | 52 | — | — |
| გ) არა-ჩვეულებრივი, 1888 წელში გადამავალი. | 2,447 | 23 | 2,672 | 75 |
| კუპონები ოცის წლის გირავნობის ფურცელთა | — | — | 12,831 | — |
| ტალონები | — | — | 140,000 | — |
| ბალანსი | | | 4,685,197 | 66 |

პასსივი

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| ძირეული თავნი | — | — | 528,032 | 26 |
| სათადარიგო თანხა | — | — | 51,591 | 64 |
| გირაოს ფურცელნი, მსვლელობაში მყოფნი: | | | | |
| ა) 43½ წლიანი | 1,083,700 | — | | |
| ბ) 18 7/12 ,, | 2,182,800 | — | 3.266,500 | — |
| გირავოს ფურცელნი გამოსაშვებნი. { 43½ წ. | 7,500 | — | | |
| { 18 7/12 ,, | 91,300 | — | 98,800 | — |
| თანხა სესხთა მოსასპობი: | | | | |
| ა) 43½ წლიანი | 4,399 | 69 | | |
| ბ) 18 7/12 ,, | 63,109 | 32 | 67,50 | |
| » » სარგებლისა: | | | | |
| ა) 43½ წლიანი | 32,511 | — | | |
| ბ) 18 7/12 » | 65,484 | — | 97,995 | — |
| ფული, გადადებული საზღვეველად: | | | | |
| ა) გირავოს ფურცელთა ტირაჟში გამოსულნი. | 110,100 | — | | |
| ბ) 2 იანვრის 1888 წლის ვადის გირავოს ფურცელთა კუპონები | 105,294 | — | | |
| წინანდელ ვადებისა | 378 | — | 215,772 | — |
| ვადამდე მოსპობილნი სესხნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით { 43½ წ. 978—09; 18 7/12 » 2499—37 } | 3,477 | 46 | | |
| ბ) გირავოს ფურცლებით { 43½ წ. 12200; 18 7/12 49100 } | 61,300 | — | 64,777 | 46 |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა | 4,827 | 70 | | |
| ერთ-დროებით შემოსატანი ფული. | 587 | 50 | | |
| ყოველ წლიური შემოსატანი ფული ბანკის ხარჯების დასაფარავად, საზოგადო საქიროებათა თანხის შესადგენად და სხვა | 19,861 | — | 25,276 | 20 |
| გადასაცემი ფული: | | | | |
| ა) გირავოს ფურცლით | 100 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით | 2,046 | 56 | 2,146 | 56 |
| სარგებლიანი ქაღალდები კასსაში: | | | | |
| ა) შესანახავად | 33,500 | — | | |
| ბ) ბანკის სასაკუთრონი და სხვა | 35,200 | — | 68,700 | — |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები. | — | — | 893 | 65 |
| ცეცხლისაგან ზარალის საზღვევი | — | — | 156 | 25 |
| გადასახადი, ვადამდე შემოსული | — | — | — | 63 |
| 5% ლალა გირავოს ფურცელთა კუპონებისა | — | — | 216 | — |
| გამოსაცვლელი კუპონის ფურცლები. | — | — | 12,831 | — |
| ძველი ტალონები მოსასპობ გირავნობის ფურცელთა | 139,000 | — | — | — |
| » » გამოსაცვლელნი | 1,000 | — | 140,000 | — |
| წმინდა მოგება 1887 წლისა | — | — | 44,000 | — |
| ბალანსი | | | 4.685,197 | 66 |

ბანკის გამგეობის თავ-მჯდომარე თავ. დ. ე. დადიანი

გამგეობის წევრები: თავ. ნ. დ. ერისთავი
ი. პ. ჯაიანი

ბუხჰალტრის თანამდ. აღმასრ. ო. სვანიძე

Доз. цен. Тиф., 15 марта 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე